Mountains ADAPT

მცირე საგრანტო დაფინანსების პროგრამა

საგრანტო პროგრამის მიმოხილვა

სამიზნე რეგიონები	სამხრეთ კავკასია[1]
ქვეყნები	სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო
განმახორციელებელი ორგანიზაციები	რეგისტრირებული არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (NGO/CSO), უპირატესად ადგილობრივი (grassroots), სათემო (CBO), ახალგაზრდული ან ქალთა ორგანიზაციები
პრიორიტეტული მიმართულებები	– ეკოსისტემების აღდგენა – წყლის დაგროვება და შენარჩუნება/მართვა – კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა და სურსათით უზრუნველყოფა – სტიქიური მოვლენებისადმი მზადყოფნა – შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია და არსებულისგან შემოსავლის გაზრდა – ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება
გრანტის ოდენობა თითო პროექტზე	არაუმეტეს 30,000 აშშ დოლარი
ბენეფიციარები	მთის თემები
განხორციელების პერიოდი	12 თვე

[1] Mountains ADAPT გაფართოებული საგრანტო პროგრამა ფარავს აღმოსავლეთ აფრიკის რეგიონის ქვეყნებსაც, დაინტერესების შემთხვევაში იხ. ვებ-გვერდი: https://www.unep.org/topics/climate-action/adaptation/ecosystem-based-adaptation/mountains-adapt

შერჩევის კრიტერიუმები

მცირე საგრანტო პროგრამა (SGFS) აფინანსებს **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, უპირატესად ადგილობრივ, სათემო, ახალგაზრდულ ან ქალთა ორგანიზაციებს** რომლებიც ახორციელებენ სათემო ინიციატივებს მთის თემების კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის მიზნით სამხრეთ კავკასიაში.

წარმდგენი უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგი ძირითად კრიტერიუმებით საპროექტო წინადადების შედგენის დროს:

- შეარჩიოს სამიზნე მთის თემი, რომელიც მოწყვლადია **კლიმატის ცვლილების მიმართ ან გააჩნია მასთან დაკავშირებული გამოწვევა/პრობლემა,** რომლის გადაჭრაც აუცილებელია ეკოსისტემების დასაცავად, საარსებო წყარო(ები)ს აღსადგენად ან შესანარჩუნებლად, და სურსათით უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად.
- მისი ორგანიზაცია იყოს ოფიციალურად რეგისტრირებული **ადგილობრივი ორგანიზაცია,** რომელიც საქმიანობს შესაბამისი სამიზნე ქვეყნის მთიან რეგიონში (სამხრეთ კავკასია) და მუშაობდეს მთის ეკოსისტემებისა და ადგილობრივი თემებისთვის სარგებლისა და მომსახურების მიწოდებაზე.
- მას უნდა გააჩნდეს თემებთან მუშაობისა და მათთვის განკუთვნილ **პროექტებში** მუშაობის **გამოცდილება.** კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და/ან გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელების გამოცდილება ჩაითვლება დამატებით უპირატესობად.

უპირატესობა მიენიჭებებათ იმ განმცხადებლებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქალთა და გოგონათა უფლებებისა და შესაძლებლობების გაზრდას და სხვა გენდერული თანასწორობის ხელშემწყობ მიდგომას.

დაფინანსების პროგრამა მხარს უჭერს **კლიმატის ცვლილებისადმი** მოწყვლადი მთის თემების **მედეგობის** გაძლიერებას ინოვაციური ქმედებების გზით. პროექტები უნდა აძლიერებდნენ ადგილობრივ თემებს, პასუხობდნენ არსებულ კლიმატურ რისკებსა და ზემოქმედებებს, შეესაბამებოდნენ ეროვნულ სახემძღვანელო დოკუმენტებს და ითვალისწინებდნენ ე.წ. **ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტებს / Nature-based Solutions (NbS)**, როგორც ძირითად მიდგომას. სასურველია პროექტები ითვალისწინებდეს შესაძლებლობების გაძლიერების კომპონენტს, ტრადიციულ ცოდნას და მოწყვლადი ჯგუფების განსაკუთრებულ საჭიროებებს, მათ შორის ქალების, ახალგაზრდების და სხვა.

პროექტის მიდგომა უნდა იყოს მისი კომპონენტების ურთიერთკავშირი (მაგ. მიზეზ-შედეგობრივობა) და მდგრადი საარსებო წყაროების შექნა და ეხებოდეს **ერთ ან რამდენიმე თემატურ არეალს:**

- **ეკოსისტემების აღდგენა:** დეგრადირებული ლანდშაფტების აღდგენა ე.წ. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების/Nature-based Solutions (NbS), გამოყენებით, ეკოსისტემების აღდგენ*ის შესახებ გაეროს ათწლეულის სახელმძღვანელო* (UN Decade on Ecosystem Restoration) პრინციპების შესაბამისად[2], ეკოლოგიური მთლიანობისა და მოსახლეობის საარსებო მედეგობის გასაძლიერებლად.

[2] გაეროს ეკოსისტემის აღდგენის ათწლეული (2021–2030), UNEP-ისა და FAO-ს ხელმძღვანელობით, რომელიც ეკოსისტემის დეგრადაციის პრევენციის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით გლობალური

- **წყლის დაგროვება და შენარჩუნება/მართვა:** საზოგადოებრივი წყლის ინფრასტრუქტურის (მაგალითად, წყალმომარაგების სისტემების) გაუმჯობესება და შენარჩუნება/მართვა, ე.წ. ეკოსისტემაზე დაფუძნებული მიდგომების/ Ecosystem-based Approach (EbA) გამოყენებითა და წყლის რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.
- **კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა და სურსათით უზრუნველყოფა**: სასურსათო სისტემების 'მწვანე' და კლიმატისადმი მდგრად პრაქტიკებად გარდაქმნა, მათ შორის, აგროეკოლოგიისა და პერმაკულტურის განვითარების; წვეთოვანი სარწყავი სისტემების; წვიმის წყლის შეგროვების; კომპოსტირების, მულჩირების და რეგენერაციული სოფლის მეურნეობის გამოყენებით ნიადაგის სიჯანსაღის გასაუმჯობესების; გვალვაგამძლე კულტურებისა და სათესლე მასალის პოპულარიზაციით გზით.
- **სტიქიური მოვლენებისადმი მზაობა:** კატასტროფების რისკის მართვის ეკოსისტემებზე დაფუძნებული მიდგომის/Ecosystem-based Approaches (EbA) მხარდაჭერა სათემო დონეზე რისკების შეფასების, ადგილობრივი ადრეული გაფრთხილების სისტემების განვითარების, არსებული მიწათსარგებლობის ცვლილების და ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერების და პარტნიორობების შექმნის გზით.
- **შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია და არსებულისგან შემოსავლის გაზრდა:** ალტერნატიული საარსებო წყაროების მხარდაჭერა, მათ შორის: საწარმოო ჯაჭვების მდგრადი განვითარება, ეკოტურიზმის ხელშეწყობა და ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტებთან/ Nature- based Solutions (NbS) დაკავშირებული წარმოების განვითარება.
- **ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება**: სითბური ზემოქმედებისა და გარემოს დაბინძურების შემცირება, ასევე ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მაგალითად, ინკლუზიურ საზოგადოებრივ ან რეკრეაციულ სივრცეებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

ქმედებებისკენ მოუწოდებს. მისი სახელმძღვანელო პრინციპები ხაზს უსვამს ეკოლოგიურ მთლიანობას, ინკლუზიურობას, თანასწორობას, მდგრადობასა და გრძელვადიან სარგებელს როგორც ადამიანებისთვის, ასევე გარემოსთვის დამატებითი ინფორმაცია: www.decadeonrestoration.org

განაცხადის წარდგენის პროცესი

საპროექტო წინადადების წარმდგენმა უნდა შეავსოს პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია და ატვირთოს ყველა სავალდებულო დოკუმენტი ონლაინ განაცხადის ფორმაში, შესაბამის ელ. ბმულზე.

დოკუმენტები

განაცხადთან ერთად უნდა აიტვირთოს შემდეგი დამატებითი დოკუმენტები:

- ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობა;
- ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები (მხოლოდ შერჩეული ორგანიზაციებისთვის);
- ორგანიზაციის კანონიერი წარმომადგენლის პასპორტი (მხოლოდ შერჩეული ორგანიზაციებისთვის);
- სხვა დამატებითი ინფორმაცია, საჭიროების შესაბამისად.

ყველა დოკუმენტი, მათ შორის პროექტის აღწერა, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს როგორც **ეროვნულ, ისე ინგლისურ ენაზე.**

კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმება

ონლაინ სისტემაში განაცხადის წარდგენის შემდეგ, განმახორციელებელი პარტნიორები, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) პროექტის გუნდთან კონსულტაციის საფუძველზე, შეამოწმებენ ყველა განაცხადს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია განმცხადებელს დასჭირდეს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. განმახორციელებელი პარტნიორები ყურადღებით განიხილავენ და დაადასტურებენ (საჭიროების შემთხვევაში) წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისობას შემდეგ მინიმალური კრიტერიუმებთან:

- ✓ განაცხადში მოთხოვნილი ყველა სავალდებულო ინფორმაცია შევსებულია.
- ✓ საპროექტო წინადადების წარმდგენი არის სათანადოდ რეგისტრირებული, ადგილობრივ დონეზე ნდობით აღჭურვილი და ფინანსურად მდგრადი სათემო ორგანიზაცია (CBO).
- ✓ აღწერილი გამოწვევა შეესატყვისება მთიან რეგიონში კლიმატის ცვლილების ადაპტაციას.
- ✓ შემოთავაზებული ინიციატივა ძირითადად ეფუძნება ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტებს (NbS) და მისი კომპონენტები ლოგიკურ ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან.
- ✓ პროექტი სრულად შეესაბამება გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის ჩარჩოს (Environmental and Social Sustainability Framework – ESSF) მოთხოვნებს[3].

შემოწმების კრიტერიუმები

სამართლიანი, გამჭვირვალე და რეგულაციებთან შესაბამისი მართვის უზრუნველსაყოფად, პროექტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად გამოყენებული იქნება მკაფიო კრიტერიუმები:

[3] https://wedocs.unep.org/handle/20.500.11822/32022 (ინგლისურად)

- წარმოადგენს თუ არა საპროექტო წინადადების წარმდგენი სამიზნე მთიან რეგიონში რეგისტრირებულ სათემო ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას?
- ასახავს თუ არა საპროექტო წინადადება მკაფიოდ იდენტიფიცირებულ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გამოწვევას ან მოწყვლადობის პრობლემას?
- წარმოადგენს თუ არა შემოთავაზებული ინიციატივა ძირითადად ე.წ. ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტას / Nature-based Solutions (NbS) ან ეკოსისტემებზე დაფუძნებულ საადაპტაციო /Ecosystem-based (EbA) ღონისძიებას?
- აქვს თუ არა განმცხადებელს მცირე გრანტის მართვისათვის საჭირო ფინანსური და საოპერაციო შესაძლებლობები (მაგ., საბაზისო ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების უნარი)?
- წარმოაჩენს თუ არა განმცხადებელი საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას (მაგ., გრანტის გამოყენების საკითხებზე ბენეფიციარ თემთან ჩართულობას, კომუნიკაციასა და მათი მხრიდან პროექტისადმი მხარდაჭერის არსებობას)?
- აქვს თუ არა განმცხადებელს ადგილობრივ დონეზე პროექტების განხორციელების წარსული გამოცდილება?
- წარმოაჩენს თუ არა განმცხადებელი გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ერთგულების დამადასტურებელ პრაქტიკას?
- არის თუ არა განმცხადებელი ინსტიტუციურად დაკავშირებული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან (ანუ წარმოადგენს თუ არა ხელისუფლების პირდაპირ სტრუქტურულ ერთეულს ან პოლიტიკურ სუბიექტს)?
- გამორიცხავს თუ არა ბიუჯეტი სახელმწიფო მოხელეებისთვის (მათ შორის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის) პირდაპირი ხელფასების ან დანამატების გადახდას, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ფინანსური წესდების შესაბამისად?*
- ასახავს თუ არა საპროექტო წინადადება შესაბამისი ეროვნული ან ადგილობრივი კლიმატის ცვლილებისა და ადაპტაციის პოლიტიკის ცოდნას და განმარტავს, თუ არა, როგორ შეუწყობს ხელს შემოთავაზებული საქმიანობა ადგილობრივ დონეზე მათ განხორციელებას?

ეს კრიტერიუმები ემსახურება არა მხოლოდ პროექტის ტექნიკური შესაბამისობის შეფასებას, არამედ **ანგარიშვალდებულების, კორუფციის პრევენციის, სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციისგან დაცვის, ადამიანის უფლებების პატივისცემისა და ფინანსური რესურსების პასუხისმგებლიანი გამოყენების პრინციპების უზრუნველყოფას.**

---

* *შენიშვნა: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობა პროექტის საქმიანობებში (მაგ., ფასილიტაცია, ზედამხედველობა) შეიძლება განხორციელდეს არაფულადი (in-kind) თანამშრომლობის ან სახელმწიფო თანადაფინანსების ფარგლებში, თუმცა მცირე საგრანტო პროგრამიდან (SGFS) მათთვის პირდაპირი ანაზღაურების გადახდა დაუშვებელია.*

კეთილსინდისიერება და გასაჩივრების მექანიზმი

მცირე საგრანტო პროგრამის ადგილობრივ დონეზე კეთილსინდისიერად განხორციელების უზრუნველსაყოფად არსებობს მარტივი და ხელმისაწვდომი **გასაჩივრებისა და უკუკავშირის მექანიზმი**. აღნიშნული მექანიზმი საშუალებას მისცემს თემის წევრებს, დაინტერესებულ მხარეებსა და გრანტის მიმღებ პარტნიორებს, კონფიდენციალურად აცნობონ შესაბამის პირებს ნებისმიერი სახის საჩივრის შესახებ, მათ შორის ფინანსური რესურსების არამიზნობრივი გამოყენების, მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღების ან პროცესის ნებისმიერ ეტაპზე ვინმეს ჩართულობის უსაფუძვლო შეზღუდვის შემთხვევებთან დაკავშირებით.

ძირითადი მახასიათებლები:

- საჩივრების წარდგენის ანონიმური ფორმა (ციფრული ფორმით და/ან ფიზიკური საჩივრების ყუთის მეშვეობით პროექტის ადგილზე ვიზიტების დროს).
- გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მიერ მართვადი და „კავკასიის მთიარი რეგიონების მდგრად განვითარების ქსელთან“ (Sustainable Caucasus) ერთობლივ ზედამხედველობაში არსებული საერთო **ელ. ფოსტის მისამართი**.
- პროექტის დაწყების ღონისძიებების (kick-off events) ფარგლებში, თემებს მიეწოდებათ ინფორმაცია მათი უფლებებისა და საჩივრების წარდგენის პროცედურების შესახებ.
- საჩივრებზე შემდგომი რეაგირების, მოკვლევისა და დოკუმენტირების წესი, რომელიც უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვას.

საპროექტო წინადადებების შეფასება და შერჩევა

შეფასების პროცესის თანმიმდევრულობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, ყველა განაცხადი შეფასდება **განაცხადის შეფასების სტანდარტიზებული შეჯამების ფორმის (დანართი 1)** გამოყენებით. ეს ფორმატი უზრუნველყოფს თითოეული საპროექტო წინადადების ლაკონურ, თუმცა ამომწურავ მიმოხილვას, რაც მოიცავს თემატური შესაბამისობის შეფასებას, კანდიდატურის შესაბამისობას, შეფასების (ქულების) შედეგებსა და შემფასებლების შენიშვნებს.

აღნიშნული ფორმა მოიცავს ხუთ სექციას: (1) განაცხადის შესახებ ძირითად ინფორმაციას, (2) პროექტის თემატურ მიმართულებასა და მოკლე აღწერას, (3) კონკურსში მონაწილეობის უფლების შემოწმებას, (4) ქულების მინიჭების შეფასებით მიმოხილვას ხარისხობრივი შეფასების ჩარჩოზე დაყრდნობით, და (5) შემფასებლების ძირითად შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. ამგვარი ერთიანი ფორმატის გამოყენება უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, ამარტივებს შეფასების პროცესს და მტკიცებულებებზე დაფუძნებული, სამართლიანი და დაფინანსების შესახებ თანამონაწილეობითი ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იძლევა. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და სრულყოფილი საპროექტო წინადადებების წარდგენის ხელშესაწყობად, შეფასების კრიტერიუმები საჯაროდ გამოქვეყნდება საგრანტო კონკურსის გამოცხადებასთან ერთად.

ხარისხობრივი შეფასება

დაშვებული საპროექტო წინადადებები, ხარისხობრივი შეფასებისთვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, გადაეცემა რეგიონულ საკონკურსო კომიტეტს. კომიტეტის წევრებს მოეთხოვებათ თითოეული შეჯამებული განაცხადის დამოუკიდებლად განხილვა და შესაბამისი შეფასების (ქულების მინიჭების) მატრიცა (რუბლიკა) გამოყენებით შეფასება. თითოეული განაცხადი უნდა შეფასდეს ქვემოთ წარმოდგენილი **შეფასების მატრიცა (დანართი 2)** შესაბამისად. შეფასების გზამკვლევის საფუძველზე თითოეულ კრიტერიუმს მიენიჭება შესაბამისი ქულა განსაზღვრული დიაპაზონის ფარგლებში (0-100 ქულა), რაც ორსაფეხურიანი შეფასების პროცესს წარმოადგენს:

i. კომიტეტის თითოეული წევრი **ინდივიდუალურად შეაფასებს** საპროექტო წინადადებებს საკუთარი გამოცდილებისა და ადგილობრივი კონტექსტის ცოდნის საფუძველზე.
ii. ინდივიდუალური შეფასებები გაერთიანდება **შეფასების საერთო ჯამურ ცხრილში,** რის საფუძველზეც გამოვლინდება თითოეული ქვეყნის **ყველაზე მაღალი რეიტინგის** მქონე საპროექტო წინადადებები.

პროექტების საბოლოო შერჩევა

ხარისხობრივი შეფასების შემდეგ, **საკონკურსო კომიტეტი ერთობლივად განიხილავს** შეფასების ჯამურ ცხრილს და **მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას** დაფინანსების შესახებ. პროექტის შერჩევის შედეგების შესახებ განმცხადებლებს ეცნობებათ ინფორმაციის მიწოდების გამჭირვალე პროცედურის შესაბამისად. თითოეული

განმცხადებელი ელექტრონული ფოსტით მიიღებს **შედეგების შესახებ ოფიციალურ[4] შეტყობინებას**, რომელიც მოიცავს:

- ინფორმაციას პროექტის დამტკიცების ან უარყოფის შესახებ.
- საპროექტო წინადადები ძლიერი და სუსტი მხარეების მოკლე შეფასებას, კომისიის შეფასების უკუკავშირის საფუძველზე.
- წარმატებული საპროექტო წინადადების წარმდგენებისთვის — პროექტის დეტალური დაგეგმვის, განხორციელებისა და შესაბამისობის მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ ინფორმაციას.
- უარყოფილი საპროექტო წინადადების წარმდგენებისთვის — ინდივიდუალურ უკუკავშირსა და სასწავლო რესურსებზე წვდომის შესაძლებლობას, **შეძლებისდაგვარად.**

დაფინანსებული პროექტების კონსოლიდირებული სია გამოქვეყნდება პროექტის ვებ-გვერდზე, რაც ასევე მოიცავს ინფორმაციას პროექტების სახელწოდებების, განმახორციელებელი ორგანიზაციების, ქვეყნების, თემატური მიმართულებებისა და გაცემული გრანტის ოდენობების შესახებ. ასევე გამოქვეყნდება საინფორმაციო განცხადება (მათ შორის, სოციალურ მედიაში ან საინფორმაციო ბიულეტენში), რომელიც ასახავს:

- მიღებული და შეფასებული განაცხადების რაოდენობას.
- შერჩევის პროცესისა და კრიტერიუმების მიმოხილვას.
- კონკურსის შედეგად გამოვლენილ გეოგრაფიულ და თემატურ ტენდენციებს.

[4] იურიდიული შენიშვნა: პროექტის შერჩევის შესახებ შეტყობინება არ წარმოადგენს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მხრიდან სამართლებრივად სავალდებულო შეთანხმებას ან იურიდიულ ვალდებულებას. გრანტის საბოლოო დამტკიცება და ფინანსური სახსრების გამოყოფა დამოკიდებულია სათანადო შემოწმების (due diligence) ყველა პროცედურის, შესაბამისობის მოთხოვნების წარმატებით დასრულებასა და ოფიციალური საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერაზე. საპროექტო წინადადების წარმდგენებს ვურჩევთ, შერჩევის შედეგის შესახებ შეტყობინების საფუძველზე, ოფიციალური საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე, არ აიღონ ფინანსური ან საოპერაციო ვალდებულებები.

ხშირად დასმული კითხვები

⇒ **მოთხოვნებთან შესაბამისობა**

ვის შეუძლია საპროექტო წინადადების წარდგენა? სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, უპირატესად ადგილობრივ, სათემო, ახალგაზრდულ ან ქალთა ორგანიზაციებს, რომლებიც სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთ ქვეყანაში მაინც მთის თემებთან, სხვათა შორის, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ღონისძიებებზე მუშაობენ.

შეუძლიათ თუ არა ფიზიკურ პირებს განაცხადის წარდგენა? არა. განაცხადის წარდგენა შეუძლიათ მხოლოდ ოფიციალურად რეგისტრირებულ ორგანიზაციებს.

აუცილებელია თუ არა ორგანიზაცია ოფიციალურად რეგისტრირებული იყოს? დიახ. განაცხადის წარდგენა შეუძლიათ მხოლოდ ოფიციალურად რეგისტრირებულ ორგანიზაციებს. განაცხადის ფორმის წარდგენის ფარგლებში აუცილებელია ორგანიზაციის რეგისტრაციის დამატასტურებელი მოწმობის ატვირთვა. შერჩევის შემთხვევაში, გრანტის მისაღებად, ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს საკუთარი ოფიციალური საბანკო ანგარიში (და არა ფიზიკური პირის ანგარიში).

არსებობს თუ არა გეოგრაფიული ან თემატური შეზღუდვები? (მაგ., მხოლოდ კონკრეტულ რეგიონებში მოქმედი ან კონკრეტულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები)? დიახ. ორგანიზაციამ უნდა დაადასტუროს, რომ გააჩნია ბენეფიციარ სამთო თემ(ებ)თან უშუალო მუშაობის გამოცდილება. საპროექტო წინადადების წარმდგენმა ასევე უნდა დაადასტუროს, რომ გააჩნია შემოთავაზებული პროექტის განხორციელებისთვის საჭირო შესაძლებლობები. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციასა და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების გამოცდილება შეფასების პროცესში დამატებით უპირატესობად ჩაითვლება.

აუცილებელია თუ არა საერთაშორისო გრანტების მართვის გამოცდილება? არა. საკმარისია ორგანიზაციას ჰქონდეს ადგილობრივ თემებთან მუშაობისა და შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება, მიუხედავად იმისა, დაფინანსებული იყო თუ არა ეს პროექტები საერთაშორისო დონორების მიერ.

⇒ **განაცხადის შეტანის პროცესი**

როგორ შევიტანოთ განაცხადი გრანტის მისაღებად? საპროექტო წინადადების წარმდგენმა უნდა შეავსოს განაცხადის სრული ონლაინ ფორმა, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
https://apps.unep.org/surveyunep/index.php/849129?lang=en

რა სახის დოკუმენტებია საჭირო? განაცხადის ფორმასთან ერთად უნდა აიტვირთოს: ორგანიზაციის მოქმედი რეგისტრაციის მოწმობა. დამატებით, პროექტის გამარჯვების შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოთ ორგანიზაციის ოფიციალური საბანკო რეკვიზიტები (რომლებიც შესაბამისობაში უნდა იყოს ორგანიზაციის რეგისტრაციის მონაცემებთან) და ორგანიზაციის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობა ან პასპორტი.

რა არის საპროექტო წინადადების წარდგენის ბოლო ვადა? განიხილება მხოლოდ ის განაცხადები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება **2026 წლის 15 სექტემბრის** 23:59 საათამდე (სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დროით, UTC+4).

შესაძლებელია განაცხადის ინგლისურის გარდა სხვა ენაზე წარდგენა? დიახ. განაცხადის ფორმის წარდგენა, გარდა ინგლისურისა, შესაძლებელია ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

⇒ **დაფინანსების შესახებ**

რა არის გრანტის მაქსიმალური და მინიმალური ოდენობა? მაქსიმალური დაფინანსება წარმოადგენს 30,000 აშშ დოლარს. მინიმალური თანხა განსაზღვრული არ არის. თუმცა რეკომენდებულია საპროექტო წინადადების წარდგენმა მოითხოვოს იმ ოდენობის დაფინანსება, რაც საკმარისი იქნება ადგილზე შესაბამისი აქტივობების გატარებისთვის.

რა სახის ინიციატივები შეიძლება დაფინანსდეს? შემოთავაზებული პროექტები უნდა აძლიერებდეს ადგილობრივ თემებს, პასუხობდეს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ რისკებს, ეფუძნებოდეს ეკოსისტემურ მიდგომებსა და ე.წ. ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს/ Nature-based Solutions (NbS). შესაძლო მიმართულებებია: ეკოსისტემების აღდგენა, წვიმის წყლის შეგროვება, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა, სტიქიური მოვლენებისადმი მზაობის გაძლიერება, შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია და სხვა. მაგალითისთვის, გაეცანით შემდეგ პუბლიკაციებს: Mountains ADAPT: Solutions from the South Caucasus და Mountains ADAPT: Solutions from East Africa

რა სახის ხარჯების დაფარვა არის შესაძლებელი გრანტის ფარგლებში? გრანტი შეიძლება გამოიყენოთ, სხვათა შორის: პერსონალისა და დაქირავებული ექსპერტების ანაზღაურებისთვის, აღჭურვილობისა და მასალების შესაძენად, ტრენინგებისა და შესაძლებლობების განვითარების აქტივობების ჩასატარებლად, საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების, ასევე პროექტის განხორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა ხარჯების დასაფარად.

არსებობს თუ არა შეზღუდვები გრანტის გამოყენებასთან დაკავშირებით? დიახ. ყველა ხარჯი უნდა: სრულად შეესაბამებოდეს დამტკიცებულ საპროექტო იდეას, იყოს სათანადოდ დასაბუთებული საპროექტო წინადადებაში, უზრუნველყოფდეს რესურსების ეფექტურ და მდგრად გამოყენებას პროექტის განხორციელების პროცესში.
გაეროს აგრემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ფინანსური წესდებისა და რეგულაციების შესაბამისად, ბიუჯეტი არ შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფო მოხელეებისთვის (მათ შორის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის) პირდაპირი ხელფასების ან დანამატების გადახდას. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობა პროექტის საქმიანობებში (მაგ., ფასილიტაცია, ზედამხედველობა, რჩევა) დასაშვებია, თუმცა მათი მონაწილეობა უნდა იყოს მოხალისეობრივი ან უნდა იყოს დაფარული სახელმწიფო თანადაფინანსებით ან სხვა დონორის მიერ და არ უნდა ითვალისწინებდეს მცირე საგრანტო პროგრამიდან (SGFS) ანაზღაურებას.
სავალდებულოა თუ არა თანადაფინანსების არსებობა? თანადაფინანსების არსებობა სავალდებულო მოთხოვნა არ არის. თუმცა, პროექტებს, რომლებსაც უკვე გააჩნიათ ან მოელიან თანადაფინანსებას (მაგალითად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ან სხვა პარტნიორებისგან), შეფასებისა და შერჩევის პროცესში დამატებითი უპირატესობა მიენიჭებათ.

⇒ **შერჩევის კრიტერიუმები**

როგორ შეფასდება საპროექტო წინადადებები? საპროექტო წინადადებები გაივლიან მარტივ პირველად გადარჩევის ეტაპს, მოთხოვნილ კრიტერიუმებთან მათი შესაბამისობის დასადგენად (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართებში). წინასწარი გადარჩევის შემდგომ, განაცხადებს განიხილავს საკონკურსო კომიტეტი შესაბამისი **შეფასების მატრიცის** გამოყენებით, რომელიც თანდართულია დანართებში.

რა არის პროექტის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები? შერჩევის ძირითადი კრიტერიუმებია: შემოთავაზებული ინიციატივის შესაბამისობა ადგილობრივ კლიმატურ გამოწვევებთან/პრობლემებთან; ტექნიკური განხორციელებადობა; სოციალური ჩართულობა (გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდების ჩართულობა და სხვა); ინოვაციურობა და პროექტის მასშტაბირების (სხვაგან განხორციელების შესაძლებლობა და სხვა), პოტენციალი; თემის ჩართულობა, მხარდაჭერა და საკუთრების განცდა; გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობა; შედეგების მდგრადობა (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართებში).

ვინ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას გრანტების გაცემის თაობაზე? სამხრეთ კავკასიის საკონკურსო კომიტეტი შეაფასებს მოკლე სიაში მოხვედრილ ყველა პროექტს და მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართებში).

მიიღებენ თუ არა უკუკავშირს დაფინანსების მიღმა დარჩენილი საპროექტო წინადადებები? საპროექტო წინადადების თითოეული წარმდგენი მიიღებს შეტყობინებას შედეგების შესახებ — განურჩევლად იმისა, შეირჩა თუ არა მათი პროექტი დაფინანსებისთვის.

⇒ **პროექტის განხორციელება და ანგარიშგება**

რა ხდება წარმატებული პროექტების შერჩევის შემდეგ? შერჩეულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ შეიმუშაონ პროექტის განხორციელების დეტალური გეგმა, რომელიც უნდა ასახავდეს პროექტის ძირითად ეტაპებს (ე.წ milestones) და მათი განხორციელების ვადებს. ასევე შეფასდება გრანტის მიმღები ორგანიზაციების შესაძლებლობები, და საჭიროებისამებრ გაეწევათ მხარდაჭერა შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით, რათა პროექტები იყოს ტექნიკურად გამართული, ინკლუზიური და სრულ შესაბამისობაში UNEP-ის გარემოსდაცვით და სოციალურ დაცვის მოთხოვნებთან.

რა სახის ანგარიშგების წარმოდგენა მოეთხოვებათ გრანტის მიმღებებს? გრანტის მიმღებმა ორგანიზაციებმა უნდა წარადგინონ ანგარიშები პროექტის განხორციელების გეგმით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. ანგარიშები უნდა ასახავდეს: პროექტის შესრულების პროგრესს ძირითად ეტაპებთან მიმართებით, ბიუჯეტის დანახარჯს და ფინანსური ხარჯების ამსახველ დოკუმენტაციას, პროექტის საქმიანობების ამსახველ ვიზუალურ მასალას (მაგ., ფოტოებსა და ვიდეოებს).

რა სიხშირით უნდა წარედგინოს პროგრესის ანგარიშები? სავალდებულოა ჯამურად ორ-ორი შინაარსობრივი და ფინანსური ანგარიშის წარდგენა: (1) შუალედური ანგარიშის, და (2) საბოლოო ანგარიშის სახით, პროექტის საქმიანობის დასრულების შემდეგ. გარდა ამისა, პროექტის განხორციელების გეგმის შემუშავების ეტაპზე მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, შესაძლოა პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას მოეთხოვოს დამატებითი მონიტორინგის განხორციელება.

მოიცავს თუ არა მონიტორინგის პროცესი ადგილზე ვიზიტებსა ან აუდიტს? შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე პროექტები შეირჩევა სავალე მონიტორინგის ვიზიტებისთვის. აღნიშნული პროექტები დაექვემდებარება შედარებით ინტენსიურ მონიტორინგს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანგარიშვალდებულება.

⇒ **ვადები**

როდის ეცნობებათ გამარჯვებულ პროექტებს საბოლოო შედეგები? 2026 წლის მესამე კვარტალში.

როდის უნდა დაიწყოს პროექტის განხორციელება? 2026 წლის მეოთხე კვარტალში.
დაფინანსებული პროექტის განხორციელების პერიოდი? არაუმეტეს 12 თვისა.

⇒ **მხარდაჭერა**

არის თუ არა ხელმისაწვდომი ტექნიკური დახმარება განაცხადის მომზადების პროცესში? ტექნიკური დახმარების ან დამატებითი განმარტებების მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაეროს გარემოსდაცვით პროგრამის (UNEP) პროექტის გუნდს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: unep-mountainsadapt@un.org

გაეწევათ თუ არა გრანტის მიმღებ ორგანიზაციებს ტრენინგი ან შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა? დიახ. გრანტის მიმღებ ორგანიზაციებს, მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების შეფასების საფუძველზე, გაეწევათ მათზე მორგებული შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა.

დანართი 1. განაცხადის შეფასების სტანდარტიზებული ფორმა

ნაწილი 1: ზოგადი ინფორმაცია

ველი	**დეტალები**
განაცხადის ID	[ავტომატურად გენერირებადი]
ქვეყანა / რეგიონი	[მაგ., სომხეთი/სამხრეთ კავკასია]
განაცხადის წარმდგენი ორგანიზაცია	[სახელწოდება]
სამართლებრივი სტატუსი	[რეგისტრირებული CBO/NGO/ქალთა ორგანიზაცია/სხვ.]
პროექტის დასახელება	[სრული სახელწოდება]
მოთხოვნილი გრანტის ოდენობა	[აშშ დოლარი]
განხორციელების პერიოდი	[მაგ., 12 თვე]
ადგილმდებარეობა	[მუნიციპალიტეტი/რაიონი, GPS კოორდინატები, არსებობის შემთხვევაში]

ნაწილი 2: თემატური მიმართულება და პროექტის მოკლე აღწერა

თემატური მიმართულება(ები)	**[✓ კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა / ✓ ეკოსისტემების აღდგენა / სხვ.]**
პროექტის მოკლე აღწერა	[3–5 წინადადებით აღწერეთ ძირითადი აქტივობები და მოსალოდნელი შედეგები]

ნაწილი 3: შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის წინასწარი შემოწმება

შერჩევის კრიტერიუმები	**დიახ / არა**
რეგისტრირებული სათემო ორგანიზაცია	
პროექტი პასუხობს კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციას	
პროექტი მოიცავს ბუნებაზე დაფუძნებულ/ეკოსისტემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტებს	
ორგანიზაციას გააჩნია პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური და საოპერაციო შესაძლებლობები	
შესაბამისობაშია გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების მოთხოვნებთან (წინასწარი შემოწმება)	

განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს <u>ყველა კრიტერიუმს,</u> რათა გაიაროს მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება.

ნაწილი 4: შეფასების შეჯამება/შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	**მაქსიმალური ქულა**	**მინიჭებული ქულა**	**შენიშვნები**
ადგილობრივ კლიმატურ მოწყვლადობასა და პოლიტიკის პრიორიტეტებთან შესაბამისობა	20 ქულა		
ტექნიკური განხორციელებადობა	20 ქულა		
ინკლუზიურობა (გენდერი, ახალგაზრდები და სხვ.)	15 ქულა		
ინოვაციურობა / პროექტის მასშტაბის გაზრდის პოტენციალი	15 ქულა		
თემის ჩართულობა და საკუთრების განცდა	15 ქულა		
გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა და მდგრადობა	15 ქულა		
ჯამური ქულა	**100 ქულა**	**[xx/100]**	

60 ქულაზე ნაკლები შედეგის მქონე განაცხადები რეკომენდებულია დამატებითი განხილვისთვის ან უარყოფისთვის.

ნაწილი 5: საკონკურსო კომიტეტის შენიშვნები

დაკვირვებები	**შენიშვნები**
ძირითადი ძლიერი მხარეები	[მაგ., მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან; კარგად შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემა]
ძირითადი რისკები / სუსტი მხარეები	[მაგ., შეზღუდული გამოცდილება პროექტების განხორციელებაში, სუსტი ფინანსური მდგომარეობა]
ეროვნულ პრიორიტეტებთან შესაბამისობა	[მაგ., შეესაბამება ეროვნული ადაპტაციის გეგმის პრიორიტეტულ სექტორს]
საჭიროებს თუ არა დამატებით განმარტებებს?	[დიახ/არა – დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ, კონკრეტულად რა საკითხზე]

დანართი 2. საკონკურსო კომიტეტის შეფასების მატრიცა

	კრიტერიუმი	წონა	შეფასების გზამკვლევი	კომენტარი/შენიშვნა
1.	ადგილობრივ კლიმატურ მოწყვლადობასა და ეროვნულ/ადგილობრივ პრიორიტეტებთან შესაბამისობა	20 ქულა	- 0–5: ბუნდოვანი ან შეუსაბამო - 6–10: ზოგადი შესაბამისობა - 11–15: მკაფიო შესაბამისობა - 16–20: მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ძლიერი შესაბამისობა	პასუხობს თუ არა პროექტი გამოვლენილ კლიმატურ მოწყვლადობებს და უწყობს თუ არა ხელს ეროვნული ან ადგილობრივი ადაპტაციის მიზნების განხორციელებას?
2.	ტექნიკური განხორციელებადობა და მდგრადობა	20 ქულა	- 0–5: გაურკვეველი ან პრაქტიკულად განუხორციელებელი - 6–10: განხორციელებადია, თუმცა შეზღუდვებით - 11–15: განხორციელებადია მცირედი რისკებით - 16–20: კარგად დაგეგმილი და რეალისტური	არის თუ არა შემოთავაზებული აქტივობები ტექნიკურად დასაბუთებული და რეალურად შესაძლებელია თუ არა მათი განხორციელება დაგეგმილი ვადებისა და ბიუჯეტის ფარგლებში? არის თუ არა რისკები ადეკვატურად მართვადი?
3.	ინკლუზიურობა და გენდერული / ახალგაზრდათა ჩართულობა	15 ქულა	- 0–5: ინკლუზიურობის სტრატეგია არ არსებობს - 6–10: ზომიერად ინტეგრირებული - 11–15: ძლიერი და ინტეგრირებული ინკლუზიურობის გეგმა	უზრუნველყოფს თუ არა პროექტი ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების აქტიურ მონაწილეობასა და გაძლიერებას?
4.	ინოვაციურობა და მასშტაბის გაზრდის პოტენციალი	15 ქულა	- 0–5: არ ასახავს ინოვაციურობას ან რეპლიკაციის პოტენციალს - 6–10: არსებობს ადაპტირების გარკვეული პოტენციალი - 11–15: მკაფიოდ გამოხატული ინოვაციურობა და მასშტაბის გაზრდი პოტენციალი	ნერგავს თუ არა პროექტი ახალ მიდგომებს, მეთოდებს ან მოდელებს, რომელთა გამეორება შესაძლებელია სხვა რეგიონებში?
5.	თემის საკუთრების განცდა და ჩართულობა	15 ქულა	- 0–5: ცენტრალიზებული დაგეგმვა - 6–10: მცირედი კონსულტაციები	იყვნენ თუ არა ადგილობრივი თემები ჩართული პროექტის დაგეგმვის პროცესში? გაუძღვებიან ან მიიღებენ თუ

			- 11–15: ფართო ჩართულობა და საკუთრების ძლიერი განცდა	არა თანამონაწილეობას მის განხორციელებაში?
6.	**რისკების მართვა და უსაფრთხოების მოთხოვნების ინტეგრირება**	15 ქულა	- 0–5: რისკები არ არის შეფასებული - 6–10: რისკები მინიმალურად გათვითცნობიერებულია, თუმცა შემარბილებელი ზომები შეზღუდულია - 11–15: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები მკაფიოდ არის შეფასებული და არსებობს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები	იდენტიფიცირებულია თუ არა პროექტის თანდმდევი პოტენციური რისკები (მაგ., ეკოსისტემებისთვის ზიანის მიყენება, მოწყვლადი ჯგუფების გარიყვა, ადგილობრივი დაძაბულობა)? არსებობს თუ არა რეალისტური შემარბილებელი ზომები? თავს არიდებს თუ არა პროექტი ზიანის მიყენებას და ამავდროულად ხელს უწყობს თუ არა თანმხლები სარგებლის მიღებას?

ჯამური ქულა: ____ / 100

არასავალდებულო: ხარისხობრივი კომენტარების განყოფილება

- **ძლიერი მხარეები:**
- **სისუსტეები ან შენიშვნები:**
- **რეკომენდაციები (თუ შეესატყვისება):**

შეფასების კატეგორიები

- **90–100:** გამორჩეული — რეკომენდებულია დაფინანსება ყოველგვარი დათქმის გარეშე
- **75–89:** ძლიერ — რეკომენდებულია დაფინანსება; შესაძლოა საჭირო გახდეს მცირე განმარტებები
- **60–74:** საშუალო — შეიძლება დაფინანსდეს, თუ შეესაბამება კონკრეტულ პრიორიტეტებს და ხელმისაწვდომია საკმარისი რესურსი
- **60-ზე დაბალი:** სუსტი — არ არის რეკომენდებული მიმდინარე საგრანტო კონკურსისთვის